MES 7 22 0000941202

24/08/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს აიბი-მთიები
ნინო ჩიკვაიძე - სკოლის დირექტორი
ნინო აბაშიძე - დაწესებულების წარმომადგენელი
ნინო დოლიძე - დაწესებულების წარმომადგენელი

შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ოცნება
ირინე ცაავა - სკოლის დირექტორი

შპს გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლა
გულნარა დევდარიანი - სკოლის დირექტორი

შპს მომავლის სკოლა
გურამ იმერლიშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი
ნინო ქორელი - დაწესებულების წარმომადგენელი
ნატო მიქავა - დაწესებულების წარმომადგენელი
თამარ მშვიდობაძე - დაწესებულების წარმომადგენელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შპს აიბი-მთიები
ლელა ფიცხელაური
მარიამ ხუციშვილი
ნანა ედიშერაშვილი

შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ოცნება
ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი
მაკა ტუკვაძე

შპს გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლა
ირმა ხუციშვილი
თამარ ჩხიკვაძე

შპს მომავლის სკოლა
ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი
თეონა ყაჭეიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 10 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. შპს აიბი-მთიების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ოცნების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს მომავლის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს აიბი-მთიების ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ფიცხელაურმა, ნანა ედიშერაშვილმა და მარიამ ხუციშვილმა. ექსპერტ, ლელა ფიცხელაურის განცხადებით, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 4 და 5 ივლისს. ექსპერტმა აღნიშნა,

რომ სკოლის მმართველი გუნდი აქტიურად თანამშრომლობდა ექსპერტთა ჯგუფთან და დროულად აწვდიდა მათ შესაბამის დოკუმენტაციას. სკოლის საუკეთესო პრაქტიკად ექსპერტებმა დაასახელეს, სკოლის მიერ საბიუჯეტო კლასებში განხორციელებული სწავლა-სწავლების პროცესი, რომელიც ეფუძვნებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას, თუმცა სკოლას მოსწავლეები გადანაწილებული ჰყავდა მის მიერ განსაზღვრულ საგანამანათლებლო მომსახურების გადამხდელთა კლასებში და მოსწავლეები სარგებლობდნენ სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა სერვისით.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, აღნიშნა, რომ დაწესებულება საბაზო საფეხურის მოსწავლეებს სთავაზობდა პროგრამებს ორი განსხვავებული მიმართულებით: ტექნიკურ საგანთა ინტენსიური სწავლების პროგრამასა და საზოგადოებრივ, ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტენსიური სწავლების პროგრამას. ექსპერტ, ლელა ფიცხელაურის განმარტებით, დაწესებულება საშუალო საფეხურის მოსწავლეებს სთავაზობდა ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებების პროგრამებს.

ექსპერტის განცხადებით, სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ, ორ დამოუკიდებელ შენობაში. პირველ შენობაში სწავლობდნენ დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეები, ხოლო მეორე შენობაში საშუალო საფეხურის მოსწავლეები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 1282 მოსწავლე. სკოლაში დასაქმებული იყო 197 თანამშრომელი, მათ შორის 97 იყო მასწავლებელი, ხოლო დანარჩენი აღმზრდელ-პედაგოგი და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

ექსპერტის განმარტებით, სამივე საფეხურზე სწავლება მიმდინარეობდა დამოუკიდებელი, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული სასკოლო სასწავლო გეგმით. ყველა საფეხურს ჰყავდა კოორდინატორი, რომელიც პასუხისმგებელი იყო აღმზრდელობით-საგანმანათლებლო პროცესზე.

ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაციები, რომელთა ნაწილი სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე გამოასწორა, ხოლო ნაწილი წარადგინა არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას.

ექსპერტ, ლელა ფიცხელაურის განცხადებით, სკოლაში მონიტორინგი განხორციელდა 2019 წელს, რომლის შედეგადაც დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია. კერძოდ, „განათლების და მეცნიერების სამინისტროსგან მიიღოს ნებართვა განსხვავებული შეფასების სისტემისა და განსხვავებული სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების მიზნით“. ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა განათლების და მეცნიერების სამინისტროს ნებართვა 7 ქულიანი შეფასების სისტემის არსებობაზე. ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ შეფასების სისტემა და დაწყებით საფეხურზე არსებული გამოცდები არ შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და საჭიროებდა მოდიფიცირებას ან ნებართვის მოპოვებას. შესაბამისად, აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობა, რომლის მიხედვითაც სკოლაში მე-5-მე-6 კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენებოდა, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული ეწინააღმდეგობოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. ლელა ფიცხელაურის თქმით, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლაში განსაზღვრული იყო, რომ გამოცდები ჩატარებულიყო მეექვსე კლასის ბოლოს ყველა საგანში, რაც ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის 36-ე მუხლს, რომლის თანახმადაც წლიური გამოცდები უნდა დანიშნულიყო მხოლოდ საბაზო ან საშუალო საფეხურზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტის პასუხად დაწესებულებამ წარმოადგინა წერილი, რომლის მიხედვითაც სკოლა განმარტავდა, რომ განმსაზღვრელი შეფასება სასკოლო ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალი იყო, რათა უკეთ გაეზომათ მოსწავლეთა საჭიროებები, თუმცა ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და სკოლამ გააგზავნა წერილი განათლების და მეცნიერების სამინისტროში, რომლის მიხედვითაც დაწესებულება ითხოვდა სამინისტროსგან ნებართვას დაწყებით საფეხურზე შეფასება ჰქონოდათ, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი ტიპის.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, აღნიშნა, რომ სკოლამ დააფიქსირა პოზიცია, რომლის თანახმადაც, გამოცდები იყო სასკოლო სასწავლო გეგმაში ტექნიკური ხარვეზი. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, სკოლას უკვე გამოსწორებული ჰქონდა აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი და მათი განმარტებით, ეს იყო არა გამოცდა, არამედ დიაგნოსტიკური წერა, რომლის მიხედვითაც ადგენდნენ მოსწავლეთა საჭიროებებს.
ექსპერტ, ლელა ფიცხელაურის განცხადებით, ვიზიტის პერიოდში სკოლაში ადაპტირდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის სპორტდარბაზებსა და ლაბორატორიებში გადასაადგილებელი სივრცეები. ასევე, დაწესებულებამ ცვლილება შეიტანა ბიბლიოთეკის დებულებაში, სადაც დაზუსტდა სახელმძღვანელოების სარგებლობისა და გატანის ვადები. ექსპერტის განმარტებით, მოხდა სამედიცინო კაბინეტის გადატანა პირველ სართულზე და შიდა კონკურსის საფუძველზე დაინიშნა მეორე ექიმი. ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ კომპიუტერულ ლაბორატორიაში მოხდა კამერის დემონტაჟი და კიბის უჯრედებში, რომლებიც არ კონტროლდებოდა ვიდეოთვალით, დაემატა კამერები. ექსპერტმა, ასევე, განმარტა, რომ სკოლამ წარმოადგინა უსტატუსო მასწავლებლების ხელშეკრულებების ჩასწორებული ვერსიებიც.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს, იყო თუ არა დაწესებულებაში წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაცია ამ ეტაპზე შესრულებული.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა უპასუხა, რომ 2019 წელს დაწესებულებამ სამინისტროსგან მიიღო 7 ქულიან შეფასებაზე თანხმობა, ხოლო მიმდინარე წელს საშიანო დავალების კომპონენტის შეფასების ნაწილი, ექსპერტებმა მიიჩნიეს კვლავ ხარვეზად.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა სკოლის წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, წერდა თუ არა სკოლა 2019 წლის მონიტორინგის შემდეგ დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელ შეფასებებს. სკოლის დირექტორმა, ნინო ჩიკვაიძემ აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის დროს სკოლამ მოიპოვა თანხმობა განათლების და მეცნიერების სამინისტროსგან 7 ქულიანი შეფასების სისტემის არსებობაზე. სკოლის წარმომადგენელმა, ნინო აბაშიძემ განმარტა, რომ დაწყებითი საფეხურის მეხუთე და მეექვსე კლასების საშინაო დავალების კომპონენტში ხდებოდა, როგორც განმავითრებელი ასევე, განმსაზღვრელი შეფასება. მან აღნიშნა, რომ სკოლა ფუნქციონირებდა დილის 08:30 სთ-დან საღამოს 17:30 სთ-მდე. შესაბამისად, მოსწავლეები საშინაო დავალებებს ასრულებდნენ სკოლაში და დაწესებულება განმსაზღვრელი შეფასებით ატარებდა მონიტორინგს შესრულებული საშინაო დავალებების ხარისხის დასადგენად. მან აღნიშნა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანი იყო განმსაზღვრელი შეფასების არსებობა, რათა უკეთ განსაზღვრულიყო პანდემიის პირობებში არსებული საჭიროებები, რომლის წინაშეც იდგნენ მოსწავლეები. ნინო აბაშიძის განცხადებით, 2019 წლის მონიტორინგის დასკვნაში არ იყო მითითებული, რომ ამ კომპონენტზე საჭირო იყო ნებართვის აღება განათლების და მეცნიერების სამინისტროსგან. სკოლის წარმომადგენლის თქმით, მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე, 2022-2023 სასწავლო წლის შეფასების სისტემა სკოლამ დააზუსტა და სამინისტროშიც გაგზავნა ნებართვის წერილი.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშილმა დააზუსტა ექსპერტებთან, გაეცნენ თუ არა ისინი, სკოლის მიერ სამინისტროში გაგზავნილ ამ უკანასკნელ წერილს ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებით. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განმარტა, რომ წერილები განათლების და მეცნიერების სამინისტროში გაიგზავნა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რას ნიშნავდა დასკვნაში აღწერილი „Elementary school". ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განმარტა, რომ აღნიშნული "Elementary school" ნიშნავდა სკოლამდელი აღზრდის პროგრამას, რომელსაც დაწესებულება ახორციელებდა დამოუკიდებლად.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს 7 ქულიან შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა შეთანხმებულიყო განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან. მას აინტერესებდა, თუ როდის მოხდა შეთანხმების მიღება.
სკოლის წარმომადგენლემა, ნინო აბაშიძემ განაცხადა, რომ შეთანხმება მოხდა 2019 წელს.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშილმა აღნიშნა, რომ სკოლა ვალდებული იყო ეხელმძღვანელა ეროვნული სასწავლო გეგმით, რომლის თანახმადაც პირველ-მეექვსე კლასებში, საშინაო დავალების კომპონენტში, გამოიყენებოდა მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს სტარტეგიულ გეგმასთან და SWOT ანალიზთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტში, ექსპერტების განმარტებით, სკოლას ჰქონდა სუსტი მხარე შეუსაბამობებისა და ინციდენტების მართვის ხარისხის კუთხით. საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, მოიძიეს თუ არა ინფორმაცია, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა სკოლაში ამ მიმართულებით. ნატო გაბოშვილმა ასევე, დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტებსა და სკოლის წარმომადგენლებს, თუ რა რეკომენდაციები მიიღო დაწესებულებამ ექვსწლიან სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო SWOT ანალიზს. ხარისხის მართვის სამსახურმა წარმოადგინა დოკუმენტი, რომელზეც ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა. მან განმარტა, რომ სკოლაში არსებობდა კვლევებზე და უკუკავშირებზე დაფუძნებული პრაქტიკა და ამ ეტაპზე მიმდინარეობდა რეაგირების დოკუმენტზე მუშაობის პროცესი, რათა წინასწარ განსაზღვრულიყო მოსალოდნელი რისკები და შესაბამისი პრევენციის გზები. სკოლის დირექტორმა, ნინო ჩიკვაიძემ განაცხადა, რომ დაწესებულება ადგენდა ექვსწლიანი განვითრების ზოგად გეგმას, ხოლო ერთწლიანი სამოქმედო გეგმა იწერებოდა დეტალურად, სადაც კონკრეტულად ისაზღვრებოდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა სკოლას.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, საშინაო დავალებების შეფასებასთნ დაკავშირებით მიღებული იყო თუ არა განათლების და მეცნიერების სამინისტროდან პასუხი. სკოლის დირექტრომა, ნინო ჩიკვაიძემ განმარტა, რომ განათლების და მეცნიერების სამინისტროდან სკოლამ ვერ მიიღო თანხმობა. შესაბამისად, სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია და ჩასწორებული დოკუმენტაცია გადაეგზავნა ცენტრს საბჭოს სხდომის გამართვის დღეს.
სკოლის წარმომადგენელმა, ნინო დოლიძემ ისაუბრა მეექვსე კლასელი მოსწავლეების დიაგნოსტიკური წერის შესახებ, რომელიც სრულად ითვალისწინებდა მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით სამომავლო გეგმის დასახვას. მისი თქმით, სკოლაში იყო გამოკრული განრიგი, სადაც დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა და დიაგნოსტიკური წერის ნაცვალად ეწერა სიტყვა „გამოცდა“. მისი თქმით, აღნიშნული წერის შეფასებები არ ასახულა მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 1500 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აიბი-მთიების ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს აიბი-მთიებს (ს/კ: 202166921) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

2. შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ოცნების ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ელისო ლოლაშვილმა-მერებაშვილმა და მაკა ტუკვაძემ. ექსპერტ, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილის განცხადებით, საავტორიზაციო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა ქალაქ წყალტუბოში, მიმდინარე წლის 6-8 ივლისს. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა იყო ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და საგანმანათლებლო არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, სადაც მოსწავლეები მონაწილეობას იღებდნენ სპორტულ, შემოქმედებით და ეკოლოგიურ აქტივობებში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა სხვადასხვა ოლიმპიადებისა და გაცვლითი პროგრამა Flex-ის გამარჯვებულები.
ექსპერტ, ელისო ლოლაშვილ-მერებაშვილის განცხადებით, ვიზიტის პერიოდში საავტორიზაციო დოკუმენტების შესწავლის შედეგად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების პროგრამულ ნაწილთან მიმართებით დაფიქსირდა ხარვეზი, რომელზე მუშაობაც სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა თანამშრომლობდა ექსპერტებთან. მისი განმარტებით, დაწესებულება იყენებდა საათობრივი ბადის მესამე მოდელს, რომელიც არ იყო შეთანხმებული სამინისტროსთან. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა კორესპონდენცია განათლების და მეცნიერების სამინისტროში შესათანხმებლად გაგზავნილი, რომელიც ეხებოდა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმასა და საათობრივი ბადის მესამე მოდელს.
ექსპერტ, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილის განმარტებით, ექსპერტებმა დააფიქსირეს ხარვეზი შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, რადგან სკოლა მეხუთე-მეექვსე კლასების ბოლოს ატარებდა წლიურ გამოცდებს. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას, ასევე, უფიქსირდებოდა ადამიანური რესურსის სტანდარტთან შეუსაბამობა. დაწესებულებაში

დასაქმებული იყო ხუთი უსტატუსო მასწავლებელი, მათთან შრომითი ხელშეკრულება დაიდო 2021 წლის სექტემბერში. ექსპერტის თქმით, სკოლამ არ გაითვალისწინა არსებული რეგულაცია და მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმება მოხდა საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტის N174/ნ ბრძანებით დადგნილი პიროებების გარეშე. მოგვიანებით, სკოლამ კონკურსის საფუძველზე მიიღო ახალი თანამშრომლები.

ექსპერტ, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია შშმ მოსწავლეებისთვის ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად. სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე გააფართოვა კარი, რომელიც არ აკმაყოფილებდა მოთხოვნილ პარამეტრებს. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულება სარგებლობდა იჯარის ხელშეკრულებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტთან. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით სკოლას ფართი გადაცემული ჰქონდა 4 წლის ვადით. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ ოთხწლიანი იჯარის ხელშეკრულება შეეცვალათ 15 წლიანი იჯარის ხელშეკრულებით, რომლის კორესპონდეციაც დაწესებულებამ წარმოადგინა ვიზიტის პერიოდშივე.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ სკოლაში იყო თანამშრომლობითი გარემო. სკოლას ჰქონდა შესაძლებლობა უფრო მეტად აეთვისებინა გარე ტერიტორია და ეფექტიანად გამოეყენებინა. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე გააკეთა განაცხადი საკრებულოში, რათა მოეწყოთ ღია სპორტული მოედანი.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რატომ არ გაითვალისწინეს 2016 წლის ვიზიტის დროს მიღებული რეკომენდაცია გამოცდებთან დაკავშირებით.

სკოლის დირექტორმა, ირინა ცაავამ განაცხადა, რომ სკოლა ოცნება 2016 წლამდე გამოცდებს ატარებდა ყველა ძირითად საგანში. წინა ავტორიზაციის ვიზიტის დროს დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია, რომ გამოცდები ჩატარებულიყო მხოლოდ ორ საგანში. სკოლამ გაითვალისწინა მიცემული რეკომენდაცია. დირექტორის განმარტებით, აღნიშნული გამოცდები ემსახურებოდა მოსწავლეთა ცოდნის დონის შეფასებას და მისი შედეგები არ ასახულა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს სპორტულ მოედანთან დაკავშირებით. ის დაინტერესდა, აღნიშნული ტერიტორია იყო სახელმწიფოს თუ სკოლის საკუთრება.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ გარე ტერიტორიაც და შენობაც ეკუთვნოდა ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, რომელიც იჯარის ხელშეკრულებით გადაცემული იყო სკოლის სარგებლობაში. მათ დასძინეს, რომ შენობის ეზოში შესაძლებელი იყო ღია სპორტული მოედნის მოწყობა.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ როგორ აპირებდნენ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულ ისტის ინტეგრირებულ გამოყენებას მათემატიკაში 2022-2023 სასწავლო წელს. სკოლის დირექტორის განმარტებით, გამოყენებული იქნებოდა ისტის ელემენტები მათემატიკაში, რაზედაც რესურსცენტრის შუამდგომლობით სამინისტროში გაიგზავნა წერილი და სამინისტროსგან მოვიდა დადებითი პასუხი.

საბჭოს წევრმა, ია გიგიბერიამ მიმართა სკოლას, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით, თუ რა პრევენციის გზებს მიმართა დაწესებულებამ, რადგან რეაქტივები ადვილად ხელმისაწვდომი იყო მოსწავლეებისთვის.

სკოლის დირექტორის განცხადებით, დაწესებულებამ გაითვალისწიინა ექსპერტების რეკომენდაცია და კარადის მინა დაფარა სპეციალური ქაღალდით. ირინა ცაავას განმარტებით, რექატივები საფრთხეს აღარ წარმოადგენდა მოსწავლეებისთვის.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ როგორ აპირებდა დაწესებულება მოქმედ სამართლებრივ რეგულაციებში გარკვევას და თვითმყოფადობის შენარჩუნებას. სკოლის დირექტორმა, ირინა ცაავამ აღნიშნა, რომ სკოლა

აიყვანდა იურისტს და მისი დახმარებით მონიტორინგს გაუწევდა არსებულ სტანდარტებთან და რეგულაციებთან შესაბამისობის საკითხს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს კითვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 193 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე წარმოადგინა შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც ითხოვდა, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 17 აგვისტოს, რადგანაც წინა ავტორიზაცია სკოლას მინიჭებული ჰქონდა 2016 წლის 17 აგვისტოს, საბჭოს N59 გადაწყვეტილების საფუძველზე. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ოცნების ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 193 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ოცნებას (ს/კ: 221290886) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 193 - ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 17 აგვისტო. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა მხარი არ დაუჭირა შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ოცნების ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, რადგან, მისი შეფასებით, სკოლამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, რომ ის თავის საქმიანობაში უზრუნველყოფდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების უწყვეტად დაცვას.

საბჭოს სხდომა 16:15 საათზე დატოვა საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა.

3. შპს გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ირმა ხუციშვილმა და თამარ ჩხიკვაძემ. ექსპერტ, ირმა ხუციშვილის განმარტებით, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 6 და 7 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში და ახორციელებდა სწავლებას სამივე ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე. დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობდა ექსპერტებთან და მათ ყველა რეკომენდაციაზე ვიზიტის პერიოდშივე ჰქონდათ რეაგირება. ირმა ხუციშვილის განცხადებით, სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც აგებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და ორიენტირებული იყო სკოლის მისიის მიღწევაზე. საათობრივი ბადე მოიცავდა ყველა სავალდებულო საგნის სწავლებას და შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის საათობრივი ბადის მეორე მოდელს, რომელიც ითვალისწინებდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების წლიურ ჯამურ საათებს. კვირის საათობრივი დატვირთვა კი სკოლის შეხედულებისამებრ იყო გადანაწილებული.

ექსპერტ, ირმა ხუციშვილის განმარტებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგად დადასტურდა, რომ მასწავლებლებს განსაზღვრული ჰქონდათ შესასწავლი საკითხები, სწავლების სტრატეგიები, შემუშავებული ჰქონდათ გეგმები და შეფასების რუბრიკები. გათვალისწინებული იყო მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული დამატებითი მეცადინეობის ჩატარების ვალდებულება. სკოლაში ფუქნციონირებდა 7 საგნობრივი კათედრა, კათედრები აერთიანებდა საგნობრივ ჯგუფში შემავალ ყველა მასწავლებელს. პორტფოლიოებში წარმოდგენილი იყო ჟურნალები, სამუშაო აღწერილობები, შეხვედრების ოქმები დ ა.შ. ექსპერტის თქმით, განმავითარებელი კომენტარები იყო ზოგადი ხასიათის და არ იძლეოდა ზუსტ ინფორმაციას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სწავლა-სწავლების გასაუმჯობესებლად, ანალიზის შედეგები მოითხოვდა კონკრეტულ ამოცანებს კონკრეტული მოსწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად. ექსპერტებმა ურჩიეს სკოლის წარმომადგენლებს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლოო გეგმის დანერგვასთან დაკავშირებით დასწრებოდნენ შესაბამის ვებინარებს და ტრენინგებს, რაც მათ პრაქტიკულ დახმარებას გაუწევდა. ასევე, მომავალ სასწავლო წელს დეტალურად უნდა გაწერილიყო მოლაშქრეთა კლუბის მიზნები, ჩასატარებელი აქტივობები და განრიგი. სკოლას შემუშავებული ჰქონდა მშობელთა ინფორმირების და ჩართულობის წესი, სადაც ასახული იყო ის მექანიზმები, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო ეს ჩართვა. ირმა ხუციშვილის თქმით, მცირერიცხოვანი კლასები, საგაკვეთილო და დამატებითი მეცადინეობები საშუალებას იძლეოდა მოსწავლეებისთვის შეეძინათ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, ღირებულებები და უნარები. სკოლამ თვითშეფასების კითხვარის შესაბამისად მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრა 200 ერთეულით, თუმცა ადგილზე ვიზიტის დროს საკლასო

ოთახებისა და სასკოლო ინვენტარის გათვალისწინებით, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ სკოლას შეეძლო 170 მოსწალისთვის გაეწია საგანმანათლებლო მომსახურება. ვიზუალური დათვალირების შედეგად ასევე აღმოჩდნა, რომ შემოსაზღვრული არ იყო შემოსასვლელი. ექსპერტის თქმით, სკოლაში წარმოდგენილი იყო 12 საკლასო ოთახი. ექსპერტების თქმით, 3 საკლასო ოთახი იყო გამავალი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჰქონდათ 1 შესასვლელი. ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ ამ კლასებში შეუძლებელი იყო სასწავლო პროცესის სრულფასოვნად ჩატარება. სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული მოსაზრება და ვიზიტის პერიოდშივე პირველ სართულზე ადმინისტრაციის სამუშაო ოთახი და კომპიუტერული ოთახი გადააკეთა საკლასო ოთახად. სკოლას ჰქონდა 1 სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია და ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ სასწავლო მიზნების შესაბამისად ხდებოდა მათი გამოყენება. საინფორმოციო ტექნოლოგიების მხრივ, ექსპერტთა რჩევით, ვიზიტის პერიოდში სკოლამ დაამატა 2 კომპიუტერი. გარე პერიმეტრის გასაკონტროლებლად დამატებულ იქნა 2 ვიდეოკამერა. სკოლას შემუშავებული ჰქონდა წესდება, შინაგანაწესში გაწერილი იყო ეთიკის ნორმები, მოვალეობები და ა.შ. თუმცა, არ იყო გაწერილი რა შემთხვევაში მიიღებდა სკოლის თანამშორმელი წახალისების ამა თუ იმ სახეს. დეტალურად იყო დისციპლინარული გადაცდომების ნუსხა აღწერილი, აქედან ზოგიერთი მუხლი არ შეესაბამებოდა ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, ექსპერტის თქმით, დისციპლინარული დევნა უნდა ყოფილიყო გონივრული, დასაბუთებული და თანაზომადი. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციები და ცვლილება შეიტანა შინაგანაწესში ვიზიტის პერიოდშივე. სკოლას ჰქონდა სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც გამომდინაროებდა სკოლის მისიიდან. გეგმა ითვალისწინებდა სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მოსწავლეების ეროვნულ და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობას. სტრატეგიული გეგმა იყო 2016-2022 წლების, თუმცა სკოლამ წარმოადგინა 2023-2029 სასწავლო წლის სტრატეგიული გეგმის პროექტი.
ექსპერტის თქმით, იჯარის ხელშეკრულება სკოლას გაფორმებული ჰქონდა 2028 წლამდე. შენობის ფართი იყო 620 კვადრატული მეტრი.

ირმა ხუციშვილის განმარტებით, სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროცესის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური რესურსი. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამებოდა საათობრივი ბადით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლაში დასაქმებული იყო 23 მასწავლებელი, 9 უფროსი სტატუსის მქონე, 2 მაძიებელი, ხოლო 12 უსტატუსო. სკოლას შემუშავებული ჰქონდა მასწავლებელთა სკოლაში მიღების წესი, რომელიც შეესაბამებოდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N174/ნ ბრძანებას. შრომითი ხელშეკრულებების გადახედვის შედეგად გაირკვა, რომ 12 მასწავლებელი დასაქმებული ჰყავდა სკოლას ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევით. ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე, სკოლამ გამოაცხადა ვაკანსიები. ვიზიტის პერიოდში გამოცხადებულ იქნა კონკურსი ასევე, ექიმის ვაკანისაზე N41/ნ ბრძანების შესაბამისად. ვიზიტის პერიოდში სკოლაში 67 მოსწავლე ირიცხებოდა, შესაბამისად დაწესებულებაში უნდა ყოფილიყო ექიმი, სკოლას კი სამედიცინო მომსახურებას უწევდა ექთანი. ექსპერტ, ირმა ხუციშვილის თქმით, მაძიებელი, უფროსი და უსტატუსო მასწავლებლების ხელშეკრულების საგანსა და უფლება-მოვალეობებში აუცილებელი იყო ასახულიყო მათი სტატუსი და შესაბამისი ფუქნცია-მოვალეობები. სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სტატუსთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე არ იყო წარმოდგენილი ნასამართლეობის და სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის დამადასტურებელი ცნობები, თუმცა სკოლის თანამშრომლებმა ვიზიტის პერიოდში გააკეთეს განაცხადი და წარმოადგინეს შესამისი ცნობები.
სკოლის წამრომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მხრიდან გაცემული რეკომენდაციების ნაწილი მათ ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინეს და იზრუნეს მათ გამოსწორებაზე, მათ შორის ხელშეკრულებების საკითხზე. სკოლის წარმომადგენელმა, გულნარა დევდარიანმა აღნიშნა, რომ მასწავლებელთა ნაწილი გაათავისუფლეს და გამოაცხადეს ვაკანსიები.საბჭოს

თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ჰკითხა სკოლის წამრომადგენელს, თუ რამდენად ჰქონდათ აღნიშნულ უსტატუსო მასწავლებლებს სკოლის მხრიდან ხელშეწყობა, რომ გათავისუფლების მაგივრად მათ ემუშავათ სტატუსის მოპოვებაზე. სკოლის წარმომადგენლის თქმით, მათ არანაირ შეფერხებას არ უქმნიდნენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მზად იყვნენ დახმარებოდნენ სტატუსის მოპოვების პროცესში.
საბჭოს თავმდჯომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 170 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 170 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკურ სკოლას (ს/კ: 209475904) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 170 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

4. შპს მომავლის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა და თეონა ყაჭეიშვილმა. ექსპერტ, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილის განმარტებით, დაწესებულებაში ვიზიტი განახორციელდა ქ. თბილისში, მიმდინარე წლის 29 და 30 ივნისს. ექსპერტის განმარტებით, სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების მხოლოდ ერთ კომპონენტში დაუფიქსირდა ხარვეზი, რომელიც დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე გამოასწორა. სკოლის საუკეთესო პრაქტიკა, ექსპერტების აზრით, იყო სკოლის ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა იკავებდა სამ დიდ ოთახს და ჰყავდა სამი ბიბლიოთეკარი. საბიბლიოთეკო ცხოვრება მრავალფუნქციურად მიმდინარეობდა სკოლაში. ბიბლიოთეკაშივე ხდებოდა წიგნების აკინძვა, დამუშავება და ა.შ. ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილის თქმით, სკოლას პროგრამულ ნაწილთან დაკავშირებით ხარვეზი არ უფიქსირდებოდა. დაწესებულება მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით სთავაზობდა ინგლისურენოვან პროგრამას. რეკომენდაცია ექსპერტების მხრიდან გაიცა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის აქტიურ დანერგვასთან დაკავშირებით. ეს პროცესი უკვე დაწყებული იყო სკოლაში, მასწალებლები გადიოდნენ გადამზადებას და ესწრებოდნენ სხვადასხვა ტრენინგებს. ექსპერტების აზრით, სამომავლოდ აქტიურად მოხდებოდა სასკოლო პრიორიტეტული თემების შერჩევა.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულებას უფიქსირდებოდა ხარვეზი, რომელიც დაკავშირებული იყო შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნასთან. ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო ამ საკითხზე ზრუნვა და არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა ფოტო-ვიდეო მასალა, სადაც ჩანდა რომ მუშაობა იყო დაწყებული აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად. კერძოდ, ვიზიტის პერიოდში აღმოჩნდა, რომ სველი წერტილის შესასვლელი ეტლით მოსარგებლისთვის არ იყო გათვალისწინებული მცირე ზომიდან გამომდინარე, თუმცა ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო სკოლამ აღნიშნული კარის გაფართოება. ექსპერტის თქმით, ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა ასევე, სახანძრო უსაფრთხოებასთან მიმართებით, სიგნალიზაციის დაყენების აუცილებლობა, რისი მოგვარებაც დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო და დამონტაჟდა უსაფრთხოების დეტექტორები. ექსპერტის განმარტებით, ლაბორატორიაში ტარდებოდა ხელოვნების გაკვეთილები და უსაფრთხოების მიზნით ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რაც სკოლამ გაითვალისწინა. ქიმიური რეაქტივების და ცდებისთვის საჭირო ნივთიერებების შენახვასთან დაკავშირებით გაიცა ასევე, რეკომენდაცია და სკოლამ გაითვალისწინა და გრილ საცავში, სპეციალურ სეიფში მოხდა ქიმიური ნივთიერებების გადატანა. ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა ისაბრა ავტორიზაციის მესამე სტანდარტთან დაკავშირებითაც და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა 145 მოსწავლის მიღების შესაძლებლობა. სკოლას საავტორიზაციო განაცხადში დაფიქსირებული ჰქონდა 193 მოსწავლე, თუმცა ექსპერტების მხრიდან მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგად დადგინა, რომ სკოლას მოცემული მდგომარეობით 145 მოსწავლისთვის შეეძლო საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა სკოლის თანამშრომლების სამუშაო სივრცით. მისი თქმით, დასკვნაში აღწერილი იყო, რომ ეს სივრცე განთავსებული იყო ჰოლში და კონტროლდებოდა კამერების მიერ. ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნულთან დაკავშირებით, შესაბამისად დაწესებულებამ გამოყო ცალკე სივრცე მათთვის, რომელიც არ კონტროლდებოდა კამერებით. საბჭოს წევრი, ია გიგიბერია დაინტერესდა ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნული საკითხით,

რომელიც ეხებოდა ლაბორატორიაში არსებული ქიმიური ნივთიერებების გადაადგილებას შედარებით გრილ სივრცეში. ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა აღნიშნა, რომ ნივთიერებები განთავსებული იყო ფანჯარასთან ახლოს, უშუალოდ მზის სხივების მოხვედრის ადგილას, შესაბამისად ექსპერტებმა, უსაფრთხოების მიზნით, გასცეს რეკომენდაცია მათი უსაფრთხო და დაცულ ადგილას გადატანის შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა, თუ რას მოიცავდა სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული დამატებითი მომსახურეობა, რომელიც, როგორც აღინიშნა, ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა. სკოლის წარმომადგენელმა, ნინო ქორელმა განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა წარმოადგენდა ინგლისური სწავლების მეთოდიკას, რომელიც სპეციალურ პროგრამაზე იყო დაფუძნებული. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს პროგრამა გულისხმობდა სხვადასხვა საგნების ინგლისურ ენაზე სწავლებას. სკოლა ამასთან ერთად ატარებდა სავალდებულო ინგლისურ გაკვეთილებს და ეს პროგრამა მოიცავდა მხოლოდ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურეობას. პროგრამა ორიენტირებული იყო ინდივიდუალურ მიდგომებზე. ყველა მოსწავლეს ჰქონდა თავისი პირადი წიგნი, რომელიც დანომრილი იყო და მასწავლებლები ინდივიდუალურად მოქმედებნენ მათთან სწავლების კუთხით. პროგრამა არ მოიცავდა კლასებში მოსწავლეების დონეების მიხედვით დაყოფას. კლასში ყოველ 6 მოსწავლეზე ამ პროგრამისთვის გათვლილი იყო 1 მასწავლებელი, რომელიც თითოეული მათგანის პროგრამას ინდივიდუალურად მიჰყვებოდა.

საბჭოს თავმდჯომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 145 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მომავლის სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 145 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს მომავლის სკოლა (ს/კ: 211356272) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების

განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 145 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 16:45 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა